# „ბიძინა ივანიშვილს ზუსტად ასეთ ოპოზიციაზე უნდა ეოცნება!“



## თემურ შაშიაშვილი:

# სუს-ის ყოფილი ხელმძღვანელის ნათესავის ბინაში ნაპოვნი დოლარებით დატენილი კონვერტები დღესაც მოქმედებაშია და კარგად ვიცი, ვინ იღებს ამ კონვერტებს!

# „სწორედ ამ მოღალატეებმა დაღუპეს ზვიად გამსახურდია!“



***როდესაც სულიერი მისია გაკისრია და მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ხარ, გარე ძალების განწყობებით კი არ უნდა იმართებოდე, არამედ საკუთარ მოდელს უნდა ქმნიდე და შენს ისტორიულ ფუნქციას ასრულებდე! — აცხადებს პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე და „მეცნიერთა კონგრესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქუთაისის ლეგენდარული გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი და მიიჩნევს, რომ საქართველოში საშუალო ფენა რომ ყოფილიყო, არც ეს ოპოზიცია იქნებოდა და არც ეს ხელისუფლება:***

— მინდა, გაგახსენოთ გერმანელი მეცნიერების მიერ კარგად ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომელიც ერთ-ერთმა მათგანმა მოსკოვის ტელევიზიითაც კი გააჟღერა: მსოფლიომ იცის პლანეტარული აზროვნების, ანუ საკაცობრიო სიყვარულის მატარებელი სამი დიდი ხალხი — **ფინიკიელები, შუმერები და ქართველები.** დღეს აღარ არიან ფინიკიელები და შუმერები, დარჩნენ მხოლოდ ქართველები. ამიტომაც ისინი მსოფლიოს მოუწოდებენ: თუ გინდათ, მსოფლიოს მომავალზე იფიქროთ, აუცილებლად გაუფრთხილდით ქართველებსო! **სამწუხაროდ, ჩვენ თავად არ გვაქვს ეს უდიდესი მისია სათანადოდ გაცნობიერებული და უმთავრეს პრობლემას სწორედ ამაში ვხედავ.**

**— ასეთ ვითარებაში რა ალტერნატიული გზა არსებობს და რეალურად ვისი იდეოლოგიით იმართება დღეს ჩვენი სამყარო?**

— ვაჟა-ფშაველას თქმით, პოლიტიკისთვის და ქვეყნისთვის მთავარი არის **„თვალებახილული ხალხი“** — მოაზროვნე საზოგადოება! მაგრამ, მოდით, ვნახოთ, რა ურჩევნია მსოფლიოს და ქვეყნის მმართველებს: **თვალებახილული ხალხი თუ გონებადახშული საზოგადოება?** ვაჟა-ფშაველა ითხოვს თვალებახილულს, ხოლო **ნიკოლო მაკიაველი** ამბობს, **„ამყოფეთ ხალხი სილატაკეში, საქმით დაკავებულნი და გამოფიტულნი. გამოფიტულ სხეულებს ამბოხისთვის ძალა არ შერჩებათ. მშიერი კაცი მხოლოდ პურზე ოცნებობს და არა პრინციპებზე და პრინციპებით ცხოვრებაზე. დაქანცული ხალხი, მუშები ძილს ნატრობენ და არა სამართლიანობას“.**

სასწაულია, ხომ? **მაკიაველი,** ფაქტობრივად, ეუბნება მმართველებს: **მიეცით მათ ზუსტად იმდენი, რომ ფიზიკურად გადარჩნენ, მაგრამ არა იმდენი, რომ აყვავდნენ და განვითარდნენ.** დააკვირდით **მაკიაველის** სხვა სიტყვებსაც: **„ხალხის კეთილდღეობა შხამია ხელისუფლებისთვის. მშიერ ხალხს უჩნდება თავისუფალი დრო ფიქრისთვის, იწყებს კითხვების დასმას, უსაფრთხოება ახალისებს მოთხოვნებს, ხოლო თავისუფალი დრო შეთქმულებებს ჭედავს. მიეცით მათ აზრის გამოთქმის საშუალება და თქვენ თავად გამოჭედავთ საკუთარ განაჩენს!“**

**— მოდით, ეს ყველაფერი პირდაპირ საქართველოს რეალობას დავუკავშიროთ. როგორ აისახება ეს „მაკიაველისეული“ მოდელი ჩვენს ქვეყანაზე და რატომ ვიმკით ამ მძიმე შედეგს უკვე ათწლეულებია?**

— მოდით, სააზროვნო სივრცე დავუტოვოთ ჩვენს მკითხველს და თავად განსაჯოს, რა ხდება საქართველოში. **როგორ მოხდა, რომ 35 წლის მანძილზე ჩვენ ვერ შევძელით თუნდაც ისეთი საშუალო ფენის შექმნა, როგორიც საბჭოთა კავშირის დროს იყო?** საქართველოში დღეს საშუალო ფენა 30-40 პროცენტი მაინც რომ იყოს, რაც გულისხმობს თვეში, მინიმუმ, 3000 ლარის შემოსავალს ერთ ადამიანზე, არც ეს ოპოზიცია იქნებოდა და არც ეს ხელისუფლება!

ხელოვნურ ინტელექტს დავუსვი შეკითხვა — **რატომ ვცხოვრობთ მდიდარ ქვეყანაში ღარიბად?** ნახეთ, რა მიპასუხა ხელოვნურმა ინტელექტმა: **„თქვენი ეს შეფასება არა მხოლოდ ეკონომიკურია, არამედ ეს არის ეროვნული ტრაგედიის მოკლე ფორმულა!“**

**— მართლაც ეროვნული ტრაგედიაა, მაგრამ რა ალტერნატივას გვთავაზობთ თქვენ? გამოსავალს რაში ხედავს „მეცნიერთა კონგრესი“?**

— ჩვენ გვჭირდება აზროვნების სრულიად ახალი მოდელი! მთავარი განსხვავება „მეცნიერთა კონგრესსა“ და არსებულ პარტიებს შორის ისაა, რომ პოლიტიკოსები ფიქრობენ მხოლოდ ძალაუფლების მოპოვებაზე პირადი კეთილდღეობისთვის, ხოლო მეცნიერები ფიქრობენ ქვეყნის მომავალზე და საზოგადოებას აზროვნების ახალ სტილს სთავაზობენ. სერიოზული, სისტემური ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰარმონიულად მუშაობს ოთხი კომპონენტი: **იდეა, მორალი, კულტურა და ორგანიზაცია!** საქართველოში კი დღეს იდეა არ არსებობს, მორალი პრაქტიკულად წაიშალა, კულტურა ისპობა, ხოლო ორგანიზაციულმა დონემ ნულამდე დაიწია. **სწორედ ამიტომაც ვერ ვცემთ პასუხს კითხვას, თუ რატომ ვცხოვრობთ მდიდარ ქვეყანაში ღარიბად.**

**— ყველა პრემიერ-მინისტრი, ვინც კი ყოფილა, ან ქვეყნიდანაა გაქცეული, ან ციხეში**

## კვირგვინოსნები

**დავით ჩიხლაძე**
*ექსპერტი*



ნაცები ამბობენ — **კეზერაშვილმაც** გაძარცვა ჯარი და **ბურჭულაძემაც** და რა განსხვავებააო? მაშინაც ძალადობდა პოლიცია და ახლაც ძალადობსო... განსხვავება ის არის, რომ **კეზერაშვილიც „ქართულმა ოცნებამ“ დასაჯა და ბურჭულაძეც, ჯალათი პოლიციელებიც და ისინიც, ვინც „ქართული ოცნების“ დროს უფლებამოსილებას გადაამეტა.**

„რეპორტიორი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ხატია დეკანოიძე** არის ქალი, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა დათმო, რათა უკრაინაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი გამხდარიყო, ეს მოღალატე, საკუთარი ქვეყნისა და მოქალაქეობის მიმგდები ქალი, დღეს გამოდის და ქართველ ხალხს მორალს უკითხავს.

„რეპორტიორი“

**გიორგი შარაშიძე**
*„გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



ხელისუფლებამ **ხაბეიშვილი** გამოააშკარავა და დააპატიმრა, თუ გადაარჩინა და შემოინახა, ეს კიდევ საკითხავია. დადასტურდა, რომ მხოლოდ ქუჩის პროტესტი ვერ იქნება ხელისუფლების ცვლილების მთავარი ინსტრუმენტი, **მშვიდობიან პროტესტთან ერთად საჭიროა პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება.**

„პირველი არხი“

**ლევან სამუშია**
*„ლელო — ძლიერი საქართველოს“ წევრი*



მოქალაქეების მიმართ პოლიციელების ძალადობა სისტემური ხასიათის ქმედებად იქცა. **მოვითხოვთ უსწრაფესად გამოძიების შედეგებს — დღისით, მზისით ხდება ძალადობა და სად არის „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი?!**

„ინტერპრესნიუსი“

# „გაეროს შტაბბინა ნიუ-იორკში კი არა, კავკასიაში უნდა იყოს!“

**ზის. სუს-ის ყოფილი უფროსები და მათი მოადგილეები დაჭერილები არიან. ასე რომ მივყვეთ, თქვენ გგონიათ, ხელისუფლებაში ვინმე პატიოსანი თანამდებობის პირი კიდევ დარჩა?**

— ამ დღეებში მოვისმინე აწ განსვენებული **ლაზარე ჯორბენაძის** გამოსვლა. მან გააკეთა უზუსტესი ანალიზი და მოიტანა ხელისუფლების წარმომადგენელთა ბიოგრაფიები. აღმოჩნდა, რომ მათი 90 პროცენტი მოღალატის განწყობით მცხოვრები ხალხია! აქ საუბარი მარტო იმაზე კი არ არის, რომ ვინმე სააკაშვილთან იყო ან შევარდნაძესთან; **საუბარია იმაზე, რომ ესენი არიან მოღალატური ბუნების მქონე ადამიანები!** სწორედ ამ მოღალატეებმა დაღუპეს **ზვიად გამსახურდია.** შევარდნაძის დროს ეს მოღალატეები გაძლიერდნენ; სააკაშვილის დროს ისინი თავიანთი ძლიერების ზენიტში იყვნენ, ხოლო ბიძინა ივანიშვილმა აიღო და ეს მოღალატეები მთელ ქვეყანას დაასვა თავზე!

რაც შეეხება ოპოზიციას... გარწმუნებთ, **ბიძინა ივანიშვილს** ზუსტად ასეთ ოპოზიციაზე უნდა ეოცნება — **გიორგი ვაშაძის, ბოკერიას** თუ **ნიკა გვარამიასგან** მომდინარე კრიტიკაზე. დამისახელეთ დღეს ერთი პიროვნება, რომელიც ოპოზიციის სახელით საუბრობს და ან ბიძინა ივანიშვილის ფულში არ არის დამხრჩვალი ან მისი ფულით არ იყო გამოკვებილი?!

**— ამ ბოლო დროს ხშირად იმყოფებით ჩრდილოეთ კავკასიაში...**

— კავკასიაში ინტელექტუალურ გუნდთან ერთად ვმოძრაობ. ჩვენი ამოცანაა, ვაჩვენოთ, რომ კავკასია არის სიბრძნის ბეღელი! დღეს სამყარო უკიდურესად პრიმიტიული გახდა, კავკასიამ კი ეს უძველესი სიბრძნე შეინარჩუნა. **გაეროს შტაბბინა ნიუ-იორკში კი არა, კავკასიაში უნდა იყოს!** ასეთ მცირე ტერიტორიაზე ამდენი განსხვავებული ხალხი და რელიგიაა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე დაპირისპირებულები იყვნენ, მაგრამ მაინც ახერხებდნენ ერთად მშვიდობიანად ცხოვრებას. **დღეს მსოფლიოს ძალიან აშინებს ერთიანი კავკასიის იდეა; ეს აშინებს რუსეთსაც და არ აწყობს ამერიკას და ევროპას!**

**— კავკასიის ერთიანობის იდეა ახალი არ არის, ეს ხომ ისტორიული იდეაა...**

— რა თქმა უნდა. მე-20 საუკუნეში ეს იდეა **ზვიად გამსახურდიამ** გააცოცხლა. აუსრულებელი, მაგრამ მაღალი მიზნები ყოველთვის სჯობს აღსრულებულ მდაბალ მიზნებს. ამერიკა და რუსეთი ძალიან ოსტატურად იყენებენ თურქეთს, ჩინეთს, არაბულ სამყაროს კავკასიაში შიდა ძალების დასაპირისპირებლად. **ჩემი მიზანია, დავინახოთ საქართველო თავისი სულიერი მისიით გაძლიერებულ ქვეყნად.** სამწუხაროდ, სულიერება ინტელიგენციაში წაიქცა და სიბრძნე მხოლოდ სოფელში, მიწასთან დაკავშირებულ გლეხებში დარჩა. აკადემიკოსებმა დაკარგეს სიბრძნე! განათლების მინისტრად გვყავს ციხეებიდან მოსული კაცი... ქვეყანა სულიერად დაეცა!

**— ზემოთ დაპირისპირება ახსენეთ. ვის ინტერესებს ემსახურება ეს დაპირისპირება დღეს?**

— დაპირისპირება არც ამერიკასთან, არც ევროპასთან და არც რუსეთთან საქართველოს ინტერესებში არ შედის. მაგრამ სადმე წერია, **რა არის ქართული ინტერესი?** ამიტომაც ვეგებით ფეხქვეშ ხან რუსეთის, ხან ამერიკის და ხან ევროპის ინტერესებს. ეს დაპირისპირება აწყობს მხოლოდ ხელისუფლებას და ოპოზიციას, რადგან სიმშვიდის პირობებში ქვეყანაში ფულის ძალაუფლება მყარდება

გვახსოვდეს: სუს-ის ყოფილი ხელმძღვანელის ნათესავის ბინაში ნაპოვნი დოლარებით დატენილი კონვერტები დღესაც მოქმედებაშია და კარგად ვიცი, ვინ იღებს ამ კონვერტებს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გიორგი ფუთხაძე**
*ჟურნალისტი*



**ოოხ, ქოცებო, თქვე მართლა ნაცებო, თქვენ!**

„ახალი თაობა“

**ზურა შარაშენიძე**
*„ჩემი საქართველოს“ დამფუძნებელი*



ქოცები საკუთარ თავს ებრძვიან. **რაც დრო გადის, „ოცნებას“ ამომრჩეველი აკლდება!**

„ახალი თაობა“



# დრო ყვირის! მსოფლიო ჭრიალებს, სხვა არჩევანი არ არსებობს!

## ღია წერილი

### საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი კობახიძეს და პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ შალვა პაპუაშვილს

**ბატონებო!**

მოგმართავთ **ვეტერანთა საკმაოდ დიდი ჯგუფის სახელითა და დავალებით.** ასე რომ, ეს წერილი გამოხატავს არამარტო ხელმომწერთა აზრს, არამედ საღად მოაზროვნე ჭეშმარიტ, მრავალათასიან მამულიშვილთა აზრსაც.

თითოეულ ჩვენგანს მრავალწლიანი ცხოვრების მანძილზე გარკვეული წვლილი მიგვიძღვის ძირძველი ქართული მიწების აღმშენებლობაში და გული შეგვტკივა მათი დღევანდელი მდგომარეობის გამო.

**ჩვენ მადლიერები ვართ, რომ ქვეყანაში არ ცვივა საბრძოლო ჭურვები, არ ინგრევა ქალაქები და სოფლები, მაგრამ არსებობს კიდევ პრობლემა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას.** უკვე 35 წელი გავიდა, რაც აფხაზეთი და სამაჩაბლო გასულები არიან საქართველოს სივრციდან და მთელი ეს 35 წელია, ჩვენი ტრაგედიის მიმართ სრული ბრმა-ყრუობა სუფევს. ბევრი სამართლიანად თვლის, რომ „გასაღები მოსკოვშია“ და თუ ასეა, **რატომ არ ველაპარაკებით რუსეთს?!** ხშირად გაიგონებთ — **„სანამ არ დაგვიბრუნებს ოკუპირებულ ტერიტორიებს, არ დაველაპარაკებით“.** არადა, **თუ არ დაველაპარაკეთ, როგორ დაგვიბრუნებს?** ეს ხომ აბსურდია და საღი აზროვნების ჩარჩოებში არ ჯდება!

ღმერთმა ეს ადგილი საცხოვრისად და სამეზობლოდ განგვისაზღვრა და მფარველად ორივეს ჯვარი დაგვიყენა — რასაც ვერ შევცვლით. ამიტომ ყველა საკითხს პრაგმატულად უნდა მივუდგეთ. **თუ ვინმეს ჰგონია, რომ წავა პუტინი და მოვა უკეთესი ძია, რომელიც დაგვიბრუნებს აფხაზეთს — გულუბრყვილობაა!**

**დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს, აფხაზეთშიც და ჩვენთანაც წამოიზარდა და გავლენის სფეროს ფლობს ახალი თაობა, რომლის მსოფლმხედველობაც არსებულ ვითარებაში ჩამოყალიბდა.**

თუ გავითვალისწინებთ მათ აღზრდა-განათლებას და ხელისუფლების ხელში ჩაგდების იდეით შეპყრობილი პარტიებისა თუ ტვინგამორეცხილი არასამთავრობოების გავლენას მათზე, ასევე იმას, რომ წარმოდგენა არა აქვთ საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიაზე, საკითხი სასიცოცხლოდ საშური და აქტუალურია. დრო არ ითმენს! **მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ელვისებური ცვლილებების პირობებში ყოვლად დაუშვებელია არსებულ მდგომარეობასთან შეგუება.**

იქნებ მთავრობამ აუხსნას თავის მოქალაქეებს, რასთან გვაქვს საქმე. აკი, ბოლო დროს კანტიკუნტად მაინც გამოჩნდა, როგორც ქართულ თუ რუსულ პრესაში მოსაზრებები ამ პრობლემის მოსაგვარებლად (თუნდაც ბატონების **რომან რურუასა და მამუკა ფიფიას** გამოთქმული აზრი აღნიშნულ საკითხზე). საჭიროა მათი განხილვა. ორიენტირი ავიღოთ სახელმწიფო მოწყობის სხვადასხვა ფორმებზე — იქნება ეს **საქართველოს ფედერაცია, ნეიტრალიტეტი, რუსეთ-ბელორუსის ალიანსში გაწევრიანება თუ სხვა.**

**რა ვქნათ? ქუჩა-ქუჩა ვიაროთ და დაყრუებამდე ვიძახოთ: „ოკუპანტია“! „აგრესორია“! „რუსულია“! შედეგი? – იქნება იგივე, როგორც წინა საუკუნეში, როცა დავკარგეთ**

**21 000 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია.**

**თუ კვლავ გავაგრძელებთ სამარცხვინო ბუტიაობას ან დავმუნჯდებით, სხვებსაც უმტკივნეულოდ შერჩებათ ოკუპირებული ტერიტორიები.**

ერთადერთ ხსნად კვლავ და კვლავ მოლაპარაკებები გვესახება. ან გვაქვს კი სხვა იარაღი ან საშუალება?

**მიგვაჩნია, რომ პრობლემის სიმძიმისა და სირთულის გათვალისწინებით სასწრაფოდ ასამოქმედებელია პრაქტიკული ღონისძიებები, რაც უნდა ჩამოყალიბდეს რამდენიმე ეტაპად:**

**1. სასწრაფოდ და გადაუდებლად შეიქმნას** ერთობლივი კომისია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრების შემადგენლობით, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ხელმძღვანელობით.

**2. მიღებულ იქნას არგუმენტირებული გადაწყვეტილება** უმოკლეს ხანებში რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად, როგორც ცივილიზებული სამეზობლო თანაცხოვრების აუცილებელი პირობა.

**3.** ამავე კომისიამ **ოპერატიულად უნდა შეიმუშაოს** სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი, რომლის გადაწყვეტასაც თხოულობს სომხეთის რესპუბლიკაც.

რაც შეეხება გარედან ზეწოლას, **მთავრობის მიერ და მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით გატარებული ღონისძიებები სუვერენიტეტის დაცვის საქმეში იძლევა აქტიური მოქმედების საშუალებას.**

დამძიმებულ ფიქრებში გავიდა ერის ცხოვრების 35 წელი, ტკივილის, გარედან თავსმოხვეული უსაფუძვლო სისხლიანი დაპირისპირების, გაუაზრებელი შეცდომებისა და დაუნდობლობის მთელი ეპოქა.

**დადგა დრო აღიარებისა და მონანიებისა. დღეს თუ არა, ხვალ ეს მაინც მოხდება.** და ჯობს, დრო არ დავკარგოთ. დიახ, **დრო ყვირის, დრო გვაჩქარებს — არც გარეთ და არც შიგნით რევერანსებისა და ბუტიაობის დრო აღარ არის.**

**ერთად გავიხსენოთ ის სანატრელი დრო, როცა ყველანი ერთ ძმურ ოჯახში ვცხოვრობდით! სხვა არჩევანი არა გვაქვს, მსოფლიო ჭრიალებს!** დაე, ჩვენს თავს ჩვენვე მივხედოთ!

***ლევან ჯიბუტი, ომარ კიკნაძე, ვაჟა ნადირაშვილი, ანზორ ჩოგოვაძე, დავით დოლონაძე, ნუგზარ ჟორჟოლიანი, ვახტანგ კიკნაძე, გივი გორგოშიძე, მამია ჭუმბურიძე***

**რა ვქნათ? ქუჩა-ქუჩა ვიაროთ და დაყრუებამდე ვიძახოთ: „ოკუპანტია“! „აგრესორია“! „რუსულია“! შედეგი? – იქნება იგივე, როგორც წინა საუკუნეში, როცა დავკარგეთ 21 000 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია!**